სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/96

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ლაბორატორიული და სხვა მიმდინარე კომპონენტების აღდგენის ვადის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, “საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 21-ე მუხლის, “ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებმაც “კოვიდ-19” კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული საზღვრების ჩაკეტვის გამო ვერ შეძლეს საქართველოში შემოსვლა და სასწავლო პროცესში ჩართვა, ლაბორატორიული და სხვა მიმდინარე კომპონენტების შესრულების/აღდგენის, აგრეთვე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების ჩაბარების ვადა გაუგრძელდეთ შემდეგი სემესტრის განმავლობაში.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**